

თპუ
ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს
სხდომის ოქმი №01

თბილისი

21 იანვარი 2013 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

ასოც. პროფ. ილონა საყვარელიძე, სრული პროფ. ნინო ორმოცაძე, სრული პროფ. მარიკა კუბლაშვილი

სტუდენტები: მეგი ბირკაძე, ინნა დეისაძე.

სხდომის თავმჯდომარე: ასოც. პროფ. ილონა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: გაიანე გრიგორიანი

დღის წესრიგი:

თპუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების თაობაზე (მომხ. პროფ. ი. საყვარელიძე)

აზრი გამოთქვას:

პროფესორმა ნ. ორმოცაძემ, პროფ.მ. კუბლაშვილმა.

მოისმინეს:

თპუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ასოცირებული პროფესორის ილონა საყვარელიძის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ თპუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე ჩატარდება სამეცნიერო კონფერენცია ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მონაწილეობით. მან წარმოადგინა საკონფერენციო თემები და აღნიშნა, რომ სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების შემდგომ გამოიცემა კონფერენციაზე წარმოდგენილი თემების კრებული.

ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭომ კენჭისყრის შედეგად ერთხმად გადაწყვიტა:

1. ჩატარდეს ყველა საჭირო ღონისძიება ჯანდაცვის ფაკულტეტზე დაგეგმილი სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების ხელშეწყობის მიზნით და კონფერენციის ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2013 წლის 23 იანვარი.
2. გამოიცეს კონფერენციაზე წარმოდგენილი თემების კრებული.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე:

ი.საყვარელიძე

სხდომის მდივანი:

გ. გრიგორიანი